

პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:8

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

”პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსის ფარგლებში

საზღვაო დაბინძურება და ZEWSGES პროექტები

საზღვაო დაბინძურების განმარტება

ზღვის შესახებ კანონზე გაეროს კონვენცია განმარტავს, რომ დაბინძურება წარმოიშობა ადამიანის მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ნივთიერების ან ენერჯის მოხვედრით საზღვაო გარემოში, შესართავების ჩათვლით. ამგვარი დაბინძურება იწვევს უკიდურესად საზიანო შედეგებს, რაც ვნებს ზღვის სამყაროსა და მის ცოცხალ რესურსებს, ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას, აქვეითებს ზღვის წყლის გამოყენების ხარისხს, აფერხებს საზღვაო აქტივობებს, როგორცაა თევზჭერა და ზღვის რესურსების სხვა კანონიერი გამოყენების საშუალებები.

რა როლი ეკისრება სასაზღვრო თანამშრომლობას ZEWSGES პროექტის ამონაცემის მიღწევაში?

წყლის გარემოს დაბინძურების ისტორია ადამიანის ცივილიზაციის საწყისებიდან იწყება. თუმცა წყლის დაბინძურების საკითხმა შესაბამისი ყურადღება მანამდე ვერ მიიპყრო, სანამ დაბინძურების ზღვარმა უკიდურესად მძიმე ნიშნულამდე არ მიაღწია ეკოსისტემისა და მის ორგანიზმებისათვის. წყლის დაბინძურება ნამდვილად გახდა გლობალური პრობლემა, თუმცა ამის მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა მაინც განაგრძობს დაბინძურების წარმოქმნას. ეს ტენდენცია კი სავარაუდოდ მზარდია. ინდუსტრიალიზებული საზოგადოება დიდი რაოდენობით მასალის წარმოქმნას ახდენს, საიდანაც უმეტესი ნარჩენად ტრანსფორმირდება. ასეთი ნარჩენების ბუნება საგრძნობლად შეიცვალა ბოლო 30-40 წლის განმავლობაში, ამის მიზეზი კი წარმოებაში სინთეტიკური მასალის გამოჩენა გახდა, ისეთის როგორცაა, მაგალითად პლასტიკატი. ადამიანის მიერ წარმოქმნილი ნარჩენი, სინთეტიკისა და პლასტიკის ჩათვლით, საბოლოო დანიშნულების ადგილს სწორედ მსოფლიო ზღვებში პოულობს. ამგვარ ნაგავს, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი ზღვებში და სანაპიროებზე, ეწოდება საზღვაო ნარჩენი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ საზღვაო ნარჩენი მსოფლიოს ყველაზე გავრცელებული დაბინძურებაა. (Derraik, J.G:B, [Marine Pollution Bulletin 44 \(2002\) 842–852](#))

შავი ზღვის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილ იქნა წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენის დიდი რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ სანაპიროები განსაკუთრებით დაბინძურებულია, რასაც ვერ ვიტყვით ზღვის შუა ნაწილზე, რომელიც საკმაოდ დაშორებულია სანაპირო ზოლსა და დასახლებებს, რაც თავისთავად ზღუდავს ზღვის ამ ნაწილზე წვდომას და შესაბამისად ამ არეალში დაბინძურების წყაროებს თითქმის არ ვხვდებით. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგები, რომელთაც გვიჩვენს ზღვების ცენტრალურ ნაწილებში დაბინძურების არსებობა, საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. ეს მოვლენა შესაძლოა აიხსნას, ფაქტით, რომ ზღვის



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:8

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსის ფარგლებში

მიმოქცევისა და დინებების მიმოცვლას სანაპიროებზე არსებული დაბინძურება ღია წყლებში გადააქვს.

ნარჩენების კონცენტრაციას ერთ ადგილზე ახასიათებს ეგრეთ წოდებული „ნაგვის კუნძულების” წარმოქმნის ტენდენცია, რაც ერთის მხრივ ამ დაბინძურების საზღვაო გარემოდან განდევნის პროცედურებს ამარტივებს. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ნარჩენი, რაც ზღვაში აღწევს წარმოადგენს საფრთხეს ზღვის სამყაროსთვის. უდიდესი დამაზიანებელი, ამ კუთხით გახლავთ მიკრო-ნაწილაკები, რომელთა უდიდესი ნაწილი შედგება მიკროპლასტიკისგან, რომელიც წყალთან და საკვებთან ერთად მარტივად ხვდება ცოცხალი ორგანიზმების სხეულში და მათ მოწამვლას იწვევს.

შავი ზღვის ჟანგბადის შრე მცირდება

ცნობილია, რომ შავი ზღვა გამოირჩევა ზედაპირის ჟანგბადით მდიდარი შრით, რომლის ქვეშაც ჟანგბადისგან თავისუფალი შრე გაჯერებულია ხსნადი გოგირდწყალბადით. ჟანგბადისგან თავისუფალი შრე მდებარეობს 90-160 მ. სიღრმეზე და ზღვის დაახლოებით 87% -ს იკავებს. ბოლო 20 წლის განმავლობაში გოგირდწყალბადის შრე 20-25 მ-ით გაიზარდა. ეს ნეგატიური ტენდენცია 2016 წლის კვლევამაც დაადასტურა.

ამას გარდა, ზედა ჟანგბადის შრის სისქე არაერთგვაროვანია მთელი ზღვის მასშტაბით. საზღვაო წყლებში არსებობს კონტინენტის წყალქვეშა კიდის გასწვრივ მოძრავი სხვადასხვა დინება, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციკლონების ციკლი. ამ ციკლთა ცენტრში, ჟანგბადის შრის შედარებით დაბალი ზღვარი 54 მ. აღმოჩნდა, რაც ასევე დადასტურდა დიდი რაოდენობით ანაერობული ბაქტერიების შემცველობით ამ სიღრმეებიდან აღებულ მასალებში.

პრობლემის მნიშვნელობა : ზღვაში მცხოვრები არსებების დიდი ნაწილი ზედა შრეში ბინადრობს. რომელიც ჟანგბადითაა გაჯერებული. თუ ჟანგბადი შემცირდება, რაღა თქმა უნდა, მათი არსებობის ინტენსივობაც დაიკლებს. მოიაზრება, რომ ეს უარყოფითი ფენომენი პირდაპირ უკავშირდება კლიმატის ცვლილებასა და გლობალურ დათბობას. ამ ტენდენციამ საზოგადოება კიდევ ერთხელ უნდა დააფიქროს კლიმატის ცვლილების აღმოფხვრის გზებზე.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, გლობალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე საზღვაო დაბინძურება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ბოლო ათწლეულის მანძილზე. ეს საკითხი დღის წესრიგში აყენებს კომპლექსურ და მრავალ განზომილებიან გამოწვევას, რომელსაც გავლენა აქვს საზღვაო და სანაპირო გარემოსა და ადამიანის აქტივობებზე მთელი მსოფლოს მასშტაბით.



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:8

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსის ფარგლებში

ამ კუთხით, შავი ზღვის საერთო ან ქვე რეგიონში მოქცეული პროგრამის პარტნიორი ქვეყნები, შეიმუშავებენ ცნობიერების ამაღლების პროგრამებს, დასუფთავების კამპანიებს, რაც თანმიმდევრულობისა და კოორდინაციის გათვალისწინებით უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების მიღწევას: (a) დაგეგმილი აქტივობები საზღვაო რეგიონის ან ქვერეგიონის მასშტაბით არის ამ დრომდე თანმიმდევრული, დაგეგმილია მონიტორინგის შედეგების შედარება ; (b) გათვალისწინებულ იქნება შესაბამის ტრანს სასაზღვრო ზემოქმედება და ტრანს სასაზღვრო მახასიათებლები. კოორდინირებული და თანმიმდევრული პრევენციისა და დაბინძურების შემცირების კუთხით ძალისხმევა იქნება პრაქტიკულად და ფინანსურად მხარდაჭერილი.

რაში მდგომარეობს ZEWSGES პროექტის მიდგომა საერთო გამოწვევებთან გამკლავებისთვის?

წყლების დაბინძურების კონტროლი დასახელდა, არსებული თევჭერის პრაქტიკისა და წყლის რესურსების მდგრადი მართვის და კონსერვაციის აუცილებელ საჭიროებად. ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენის დინამიკის კარგად გააზრებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ეკისრება სწორი და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებისთვის, რაც თავისთავად საზღვაო დაბინძურების მართვისთვის არის საჭირო, როგორც გლობალურ ასევე ადგილობრივ კონტექსტში. სანაპირო ტერიტორიებაზე ნარჩენის დაგროვების ტენდენციაში დროებითი ცვლილებები შესამჩნევია განსაკუთრებით სეზონურად, ისეთ გარემო პირობებში, საიდანაც ნარჩენი პირდაპირ ზღვაში ხვდება მაგალითად თევჭერის შემდეგ, ნაოსნობის, დამონტაჟებული ტექნიკა-აპარატურის გამოყენების, მაგ. ნავთობ საბურბები, თუ საკანალიზაციო სისტემის ფუნქციონირების შედეგად. მყარ მასალას, კონკრეტულად კი მყარ ნარჩენს, მას მერე, რაც ის საზღვაო გარემოში მოხვდება, შეუძლია ლეტალური ზიანი მიაყენოს უამრავ ზღვის ბინადარს და ასევე ფრინველებს. ზღვის უამრავი სახეობა იღუპება ან ზიანდება საზღვაო ნარჩენებისგან, როგორც წესი ზღვის ბინადრები ან ნარჩენების „ხაფანგში” ებმევიან, საიდანაც თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია, ან პლასტიკატის ნაწილაკები საკვებში შეცდომით ერევათ და მათ შთანთქავენ. ამ საზიანო ფენომენის გაანალიზების შედეგად, რომ ნარჩენების ზღვის სახეობების ორგანიზმში მოხვედრასა და მყარ ნარჩენებში გახლართვის შედეგად მსოფლიო მასშტაბით ზღვის 267 სახეობა ზარალდება. საიდანაც 86% ზღვის კუ, 44% ზღვის ფრინველები, 43% –ში კი ზღვის ძუძუმწოვრებსა და სხვადასხვა თევზისა თუ კიბოსებრთა სახეობები შედიან.

აღნიშნული ინფორმაციის ფლობა, რა თქმა უნდა აყენებს პასუხისმგებლობის ქონის საკითხსაც, ყველაზე ეფექტიანი გზების ძიების კუთხით, რათა შეჩერდეს მყარი ნარჩენის ჩვენს ზღვებში ჩადინების პროცესები. გამოსავლის გზები მრავალფეროვანი უნდა იყოს, დაწყებული ჩვენი, როგორც მომხმარებელთა ქცევის ცვლილებიდან, გაგრძელებული ადგილობრივ დონეზე გაწეული აქტივობებით, როგორცაა სანაპიროების დასუფთავება, ქვიშის პროდუქტების კუთხით კონკრეტული პოლიტიკის განვითარება, ტრანსფორმაციული გზების გამონახვა გლობალური მასშტაბით ნარჩენის მართვის მიმართულებით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია : (1).



Project funded by
EUROPEAN UNION



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:8

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსის ფარგლებში

სანაპიროზე დამსვენებლების მიერ დატოვებული ნაგავი აუცილებლად გახდება საზღვაო ნარჩენი, რომელიც მოიცავს ისეთ ნივთს, როგორცაა საკვების შეფუთვები, სასმელების ქილები, სიგარეტის ნამწვები და პლასტიკის პლასტიკატის სათამაშოები. პროექტი ამ პრობლემას დაუპირისპირებს ისეთ აქტივობებს, როგორცაა სანაპიროს გაწმენდითი ღონისძიებები, რომელშიც ერთად ჩართული იქნებიან სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე გარემოს დაცვის კუთხით, კულტურისა და სამოქალაქო სფეროებში მომუშვე ორგანიზაციების წარმომადგენლები. (2) დაბინძურების გეოგრაფიული გავრცელება ზღვის საგებზე განპირობებულია ჰიდროდინამიკის, გეომორფოლოგიისა და ადამიანური ფაქტორებით. სხვადასხვა ზღვის ორგანიზმების შეზრდისგან გამოწვეული სიმძიმის შედეგად, დაბინძურების დიდი ნაწილი ზღვის ფსკერზე ხვდება. ზღვის მიმოქცევას დაბინძურება გადააქვს დაგროვების ადგილებში, როგორცაა ზღვის საგები, ასეთ დროს ზიანი ადგება სხვადასხვა სახეობების დიდ რიცხვს. ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა მოხდება ადგილობრივი მეთევზეებისა მობილიზებით კამპანიის „თევზჭერა დაბინძურებისთვის“ ფარგლებში. მოხდება მიტოვებული თევზსაჭერების შეგროვებით თავად მეთევზეების მიერ. შედეგად მსგავსი ღონისძიებები დადებითად აისახება ზღვის სახეობებსა და თავად ადამიანებზე.

http://www.greenpeace.org/austria/Global/austria/dokumente/Studien/meere_Plastic_Debris_Study_2006.pdf; Derraik, J.G:B, Marine Pollution Bulletin 44 (2002) 842–852)

რა სახის საერთო ტერიტორიულ გამოწვევებთან მოხდება გამკლავება ZEWSGES პროექტის ფარგლებში?

ყოველ წლიურად დაახლოებით 6.4 მილიონი ტონა ნაგავი ხვდება საზღვაო გარემოში. UNEP (გაეროს გარემოს პროგრამა) ის ანგარიშების მიხედვით ამჟამად 13,000 –მდე პლასტიკატის ნარჩენი ტივტივებს ზღვების ზედაპირის ყოველ კვადრატულ კილომეტრზე. (UNEP 2005). იგივე ორგანიზაციის სხვა ანგარიშის მიხედვით, კი ეს მაჩვენებელი ყოველ მილ კვადრატზე 46,000 ერთეულია. (18.000 ყოველ კვადრატულ კილომეტრზე)(UNEP 2006). 2012 ელის რიო+20 სამიტზე საზღვაო დაბინძურების შემცირება გლობალურ დონეზე გახდათ ეერთადერთი ახალი მიზანი , რომელზე შეთანხმებაც მოხდა. ამასობაში კი, ხმელთაშუაზღვის დაბინძურების სტატუსის შეფასებამ , რომელიც MAP-ის პარტნიორების მიერ, UNEP/MAP MED POL-პროგრამების ფარგლებში 2008 წელს მოხდა დაადგინა რომ: (1) საზღვაო დაბინძურების უდიდესი ნაწილი სახმელეთო წყაროებიდან მოდის; (2) მყარი ნარჩენების არაადეკვატური მართვა არის რეგიონში საზღვაო დაბინძურების წარმომშობი მთავარი ფაქტორი,; (3) ჩვარდნები მონაცემებში, არათანმიმდევრულობა ეროვნულ, ქვე რეგიონალურ და რეგიონალურ დონეებზე; (4) საზღვაო დაბინძურების მონიტორინგი არსებით გაუმჯობესებას საჭიროებს; და (5) რეგიონში არსებობს გადამუშავებისა და პრევენციული ზომების მიღების მაღალი პოტენციალი.



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:8

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსის ფარგლებში

აქედან გამომდინარე, დაბინძურების წყაროებსა და ეკოსისტემაზე არსებული ზემოქმედების შესახებ ცოდნა მნიშვნელოვანია, არამხოლოდ ეკოსისტემის დამაბინძურებლებისადმი უკუკავშირის გასაგებად, არამედ ასევე, პრევენციული ზომების ფორმულირებისთვისაც.

წყლების დაბინძურების ბევრი წყარო ზოგადად კარგად არის ცნობილი. თუმცა ამ საკითხის გარშემო ჩნდება ახალი კონცეფციები და იდეები, (მაგ. ბიოლოგიური დაბინძურება) რაც წარმოშობს ცოდნისა და ინფორმაციის განახლების საჭიროებას. პრობლემის კონტროლს ართულებს, დაბინძურების საკითხის იმგვარი ფაქტორები, როგორცაა ურთიერთკავშირი, გართულებული ინტერაქცია, გაურკვეველობა, კონფლიქტები და შემაკავებლები. ამასთან, დაბინძურების საკითხის გარშემო მეცნიერული ცოდნის სიმწირის გამო, არსებობს ამ ცოდნაში ჩავარდნები, რაც აფერხებს ეფექტური მართვის სტრატეგიების შემუშავებას. ნარჩენებისგან გათავისუფლება მათი წყლებში გადაყრით უძველესი პრაქტიკაა. შესაბამისად, თითქმის ყველა საწყლო გარემო გარკვეულ დონეზე უკვე დაბინძურებულია. მდგომარეობა უფრო კრიტიკულია ადამიანებით დასახლებულ ტერიტორიების მახლობლად. ადამიანთა აქტივობები, არის მთავარი განმაპირობებელი იმისა რომ, მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნება დღეს შემცირებულია. ადამიანის უარყოფითმა ზემოქმედებამ მნიშვნელოვნად ააჩქარა გადაშენების მაჩვენებლები, 1000–10,000 ჯერ ვიდრე ეს ბუნებრივად არის შესაძლებელი. პრობლემის გამომწვევი დაბინძურების ძირითადი ტიპები შემდეგია: (1) სანაპირო დაბინძურება. (პლასტის დაბინძურება) გახლავთ ერთერთი ყველაზე თვალშისაცემი ნიშანი საზღვაო დაბინძურების. უმთავრესი სახმელეთო წყაროები, რაც მოიცავს, ტურიზმს, რეკრეაციას, არალეგალურ ნაგავსაყრელებს, მდინარეებში ჩადინებას, საკანალიზაციო არხების ჩადინებას. (2) უმთავრესი საზღვაო წყაროები, როგორცაა კომერციული ნაოსნობა, თევზჭერა, იახტები, საზღვაო ინსტალაციები.

([https://news.un.org/en/story/2014/06/471492-plastic-waste-causes-13-billion-annual-damage-marine-ecosystems-says-un-agency;file:///C:/Users/Admin/Downloads/Marine%20Litter%20An%20Analytical%20Overview%20UNEP%20GPA.pdf;Derraik, J.G:B, Marine Pollution Bulletin 44 \(2002\) 842–852](https://news.un.org/en/story/2014/06/471492-plastic-waste-causes-13-billion-annual-damage-marine-ecosystems-says-un-agency;file:///C:/Users/Admin/Downloads/Marine%20Litter%20An%20Analytical%20Overview%20UNEP%20GPA.pdf;Derraik, J.G:B, Marine Pollution Bulletin 44 (2002) 842–852)).



პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი №:8

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსის ფარგლებში

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020

მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი

გამოქვეყნების თარიღი: 20 დეკემბერი, 2018 წ.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა „შავი ზღვის აუზი 2014-2020” თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდდამხოლოდ ნამიკ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.



Project funded by
EUROPEAN UNION

